



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA08018682556519

№ 1417

11 / მარტი / 2019 წ.

ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირის“ შავ სიაში დარეგისტრირების  
შესახებ

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“;

**ტენდერის ნომერი:** SPA180004523;

**შესყიდვის ობიექტი:** 73300000 – კვლევისა და განვითარების დაპროექტება და განხორციელება;

**მიმწოდებელი:** ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი“ (ს/ნ: 202064096);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 11 იანვარს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ 2019 წლის 11 იანვრის № 06/38 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №272), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირის“ (ს/ნ: 202064096) მიერ SPA180004523 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 5 ივლისის № 724 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [mamuka@mogzauri.ge](mailto:mamuka@mogzauri.ge) მეშვეობით, 2019 წლის 15 იანვრის №143 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 22 იანვარს ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირმა“ წარმოადგინა განმარტება (რეგისტრაციის № 674) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 5 ივლისის №724 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში (2018 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით), მისთვის უნდა გაენია ზემო სვანეთის (მესტიის მუნიციპალიტეტის) სამთო-საფეხმავლო ბილიკების კვლევის მომსახურება. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 115 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ“ 2018 წლის 25 დეკემბრის № 08/1519 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 5 ივლისის №724 სახელმწიფო შესყიდვის

### 3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტებით, პირველი ეტაპით გათვალისწინებული მომსახურება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეორე ეტაპთან, კერძოდ, თუ პირველი ნაწილი არ იქნებოდა შეთანხმებული შემსყიდველ ორგანიზაციასთან, მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან პირველი ეტაპი არ ითვალისწინებდა მონიტორინგს, არ არსებობდა სანქციის გამოყენების ვალდებულებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების განვეის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო პირველი ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, 2018 წლის 27 სექტემბრიდან. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მარშრუტების უმეტესობას ესაჭიროებოდა აღწერის, მონიშვნის დოკუმენტების, რუკების და სხვა შესაბამისი მასალების გადაკეთება და კორექტირება, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობდა.

3.2. მიმწოდებელი არ დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას და აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 და 20 დეკემბერს მან წარადგინა მეორე ეტაპის სამუშაოების ანალიზის დოკუმენტი, სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინფრასტრუქტურის და სამუშაოების ჩამონათვალი, მესტიის და ლენტეხის მუნიციპალიტეტების თანხმობა წარდგენილი მასალების სისწორესთან დაკავშირებით, „სამთო-საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის რეგლამენტით“ გათვალისწინებული შეთანხმება მესტიის მუნიციპალიტეტთან, პროექტების ხარჯთაღრიცხვა, მოსახლეობასთან შეხვედრების ოქმები, რუკები დაბეჭდილი სახით, მარშრუტები გაერთიანებული ქსელების ფორმით და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მონიშნულ ორ ბილიკთან გაერთიანებული მოკვლეული ბილიკები.

3.3. მიმწოდებელი არ დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ უთანამშრომლია მესტიის მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ თემთან. მიმწოდებლის განმარტებით, მან ჩაატარა გამოკითხვა, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტები თან ერთვოდა განმარტებას. მიმწოდებელმა ასევე არ გაიზიარა შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია მარშრუტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამობისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების არაინფორმირებულობის შესახებ. მიმწოდებლის განმარტებით, იგი მუდმივ რეჟიმში აცნობდა თითოეულ მუნიციპალიტეტს შესრულებული სამუშაოს ყველა დეტალს. ამდენად, ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია დასკვნების გამოსატანად. მიმწოდებელმა ასევე აღნიშნა, რომ ლენტეხისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებმა წერილობით განაცხადეს, რომ გაეცნენ განუვალ მომსახურებას და თანხმობას გამთქვამდნენ მარკირებაზე.

3.4. მიმწოდებელი ასევე არ დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციას დოკუმენტაციაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით, მათ შორის, მარშრუტების დიდ ნაწილს ესაჭიროებოდა ბილიკების აღწერების სრულად გადაკეთება ან სრულყოფა, ხოლო ზოგიერთი მარშრუტის აღწერა გამოტოვებული იყო. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული მარშრუტები მან გადასცა შემსყიდველ ორგანიზაციას. მიმწოდებელი ასევე არ დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის მითითებას იმის შესახებ, რომ ხარჯთაღრიცხვები არ იქნა წარდგენილი შესაბამის ფორმატში. მიმწოდებელმა განმარტა, რომ Excel ფორმატის მქონე ფაილი დაუცველია და მისი კორექტირება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. ამდენად, მან ხარჯთაღრიცხვა წარადგინა PDF ფაილის სახით. მიმწოდებლის განმარტებით, რუკებზე შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული წუნი, თუმცა მხარეთა თანამშრომლის შედეგად მათი გამოსწორება მარტივი იყო.

3.5. მარშრუტების GPX მონაცემების ხარვეზიანობასთან დაკავშირებით მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, დაშვებული ყოფილიყო მექანიკური შეცდომები, რომელთა გასწორებაც შესაძლებელია. მიმწოდებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემსყიდველი ორგანიზაციის მითითებაზე იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ბილიკი ემთხვეოდა/კვეთდა უკვე არსებულ ბილიკებს, რაც წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის № 475 დადგენილებით დამტკიცებული „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის რეგლამენტის“ 9.3.2 პუნქტის დარღვევას. მისი განმარტებით, შემსყიდველ ორგანიზაციას 2018 წლის 11 დეკემბრის წერილში მსგავსი პრეტენზია ჰქონდა ორ სხვა ბილიკთან დაკავშირებითაც, რომლებიც მიმწოდებელმა გამოასწორა, თუმცა 2018 წლის 25 დეკემბერს კვლავ აღმოაჩინა მსგავსი ხარვეზები, მაშინ, როდესაც ამის გაკეთება მას ადრეც შეეძლო.

### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 8 მაისს სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ“ გამოაცხადა SPA180004523 ელექტრონული ტენდერი კვლევისა და განვითარების დაპროექტებისა და განხორციელების (CPV73300000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 29 ივნისის №04 სხდომის ოქმით ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი“ (ს/ნ: 202064096) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 5 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა №724 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის ვადაში (2018 წლის 5

დეკემბრის ჩათვლით), შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაენია ზემო სვანეთის (მესტიის მუნიციპალიტეტის) სამთო-საფენმაჯლო ბილიკების კვლევის მომსახურება. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 115 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი.

4.4. №724 ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, პირველი ეტაპით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განუღიგო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით), ხოლო მეორე ეტაპით გათვალისწინებული მომსახურება – ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით). ამასთან, მიმწოდებელს უნდა გაეთვალისწინებინა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დოკუმენტაციის მონიტორინგის ვადა, რომელიც შეადგენდა 30 კალენდარულ დღეს.

4.5. 2018 წლის 9 აგვისტოს № 08/1031 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს პირველი ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების განვის ვადის (30 კალენდარული დღე) დარღვევის გამო, დააკისრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს განუსაზღვრა დამატებითი ვადა 2018 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით.

4.6. 2018 წლის 14 სექტემბრის №08/1161 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ 2018 წლის 13 აგვისტოს მიწოდებული დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს, მათ შორის, ზემო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ანალიზი იყო ზოგადი და არ იყო გაანალიზებული ტურისტული რესურსებისა და პოტენციალის თვალსაზრისით; დეტალურად არ იყო განხილული სვანეთის ხუროთმოძღვრება, არქიტექტურული სტილი, ეკლესიების მხატვრობა; დოკუმენტს თან არ ახლდა მიღებული და გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, მათ შორის, სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის ანალიზისას; არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მუნიციპალიტეტის რეკომენდაცია კვლევის შედეგებსა და სისწორის დადასტურებაზე. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოსთხოვა ხარვეზების აღმოფხვრა 2018 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.

4.7. მიმწოდებელმა განია 30 000 ლარის ღირებულების მომსახურება (სრული მოცულობის 26%), რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 27 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით.

4.8. 2018 წლის 7 ნოემბრის №08/1374 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ 2018 წლის 2 ნოემბერს ამოიწურა ვალდებულებების შესრულების ვადა, თუმცა მიმწოდებელს მომსახურების განევა არ დაუსრულებია, რის გამოც, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა დამატებითი ვადა 2018 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 11 დეკემბრის №08/1463 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ 2018 წლის 15 ნოემბერს მიწოდებული დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს, მათ შორის:

4.9.1. შემოტანილი მარშრუტების უმეტესობას ესაჭიროებოდა მარშრუტების აღწერების, მონიშვნის დოკუმენტების, რუკების და სხვა შესაბამისი მასალების გადაკეთება და კორექტირება;

4.9.2. არ იყო წარდგენილი მეორე ეტაპის სამუშაოების ანალიზის დოკუმენტი, წარდგენილი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინფრასტრუქტურის და სამუშაოების ჩამონათვალი, პროექტების ხარჯთაღრიცხვა და რუკები დაბეჭდილი სახით;

4.9.3. არასრულად იყო წარდგენილი მოსახლეობასთან შეხვედრების ოქმები;

4.9.4. ყველა მარშრუტი წარმოდგენილი იყო ინდივიდუალური სახით და არ იყო გაერთიანებული ქსელების ფორმით.

4.10. 2018 წლის 11 დეკემბრის №08/1463 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა დამატებითი ვადა 2018 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.

4.11. 2018 წლის 20 დეკემბრის №08/1509 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ 2018 წლის 18 დეკემბერს მიწოდებული დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს, კერძოდ, არ იყო წარდგენილი მესტიისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის თანხმობები მასალების სისწორესთან დაკავშირებით, ხოლო ლენტეხის მუნიციპალიტეტის წერილიდან არ იკვეთებოდა, თუ რა დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცა ხსენებული წერილი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა დამატებითი ვადა 2018 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

4.12. 2018 წლის 25 დეკემბრის №08/1519 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ მის მიერ 2018 წლის 18 და 20 დეკემბერს მიწოდებული დოკუმენტაცია შეიცავდა შემდეგ ხარვეზებს:

4.12.1. მიმწოდებელს შესაბამის დონეზე არ უთანამშრომლია მესტიის მუნიციპალიტეტთან და ადგილობრივ თემთან, ხოლო მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მარშრუტების შესახებ არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის არ გადაგზავნილა დეტალური ტოპოგრაფიული რუკები.

4.12.2. მარშრუტების დიდ ნაწილს ესაჭიროებოდა ბილიკების აღწერების სრულად გადაკეთება ან სრულყოფა, ხოლო ზოგიერთი მარშრუტის სახელწოდება სრულად გამოტოვებული იყო;

4.12.3. გადასაკეთებელი და დასაკორექტირებელი იყო ზოგიერთი მარშრუტის მონიშვნის ცხრილები და ხარჯთაღრიცხვები. გარდა ამისა, ხარჯთაღრიცხვები არ იყო შესაბამის ფორმატში (Excel), რაც ნიმუშით იყო გათვალისწინებული;

4.12.4. დასაკორექტირებელი იყო წარმოდგენილი მარშრუტების რუკები, რადგან ბევრ მათგანს გააჩნდა ტოპოგრაფიული და გრაფიკული ხარვეზები, მათ შორის, არასწორი დასახელებები და წარწერები, გამოტოვებული ობიექტები, შეუსაბამობა აღწერებთან;

4.12.5. ხარვეზიანი იყო მარშრუტების GPX მონაცემები, მათ შორის, ზოგიერთ ბილიკზე არ იყო დატანილი მანიშნებელი ბოძები, გამოტოვებული იყო მოსახელსადასახელებელი ობიექტები, შესაცვლელი იყო სირთულის კატეგორიები, მონაცემები ეწინააღმდეგებოდა მარშრუტების აღწერას;

4.12.6. ზოგიერთი ბილიკი ემთხვეოდა/კვეთდა უკვე არსებულ ბილიკებს, რაც წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის № 475 დადგენილებით დამტკიცებული „საფენმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის რეგლამენტის“ 9.3.2 პუნქტის დარღვევას.

4.13. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ“ 2018 წლის 25 დეკემბრის № 08/1519 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 5 ივლისის № 724 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირს“ დააკისრა პირგასამტეხლო 2 254 ლარის ოდენობით.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებს ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმის შესახებ, რომ პირველი ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების მონიტორინგი სავალდებულო არ იყო. სააგენტო აღნიშნავს, რომ 2018 წლის 5 ივლისის № 724 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით პირველი ეტაპის მომსახურების მონიტორინგის პირდაპირ გაუთვალისწინებლობა შემსყიდველ ორგანიზაციას არ ართმევს უფლებას, შეამოწმოს განუვლი მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებთან. რაც შეეხება მიმწოდებლის პოზიციას იმის შესახებ, რომ მეორე ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების განვევის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო პირველი ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან (2018 წლის 27 სექტემბრიდან), სააგენტო განმარტავს, რომ № 724 ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, მეორე ეტაპით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განუვლიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით).

7.4. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიციამე ბილიკების აღწერების სრულად გადაკეთება/სრულყოფასთან დაკავშირებით, რის პასუხადაც მიმწოდებელმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია მან გადასცა შემსყიდველ ორგანიზაციას. სააგენტო აღნიშნავს,

რომ მიმწოდებელს სააგენტოში არ წარმოუდგენია ხსენებული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიმწოდებელს ასევე არ წარმოუდგენია რუკებში არსებული ტოპოგრაფიული და გრაფიკული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, მიმწოდებელს სათანადოდ არ გაუქარწყლებია შემსყიდველი ორგანიზაციის მითითება მარშრუტების მონიშვნის ცხრილებისა და ხარჯთაღრიცხვების დაკორექტირებასთან, ასევე მარშრუტების GPX მონაცემების ხარვეზიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, მიმწოდებელმა არ გამორიცხა მექანიკური შეცდომის არსებობა.

7.5. სააგენტო დამატებით ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიმწოდებელმა არ უარყო ბილიკების გადაფარვასთან დაკავშირებული ხარვეზები. რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას იმის შესახებ, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლო მათ შესახებ უფრო ადრე მითითება, ვინაიდან იდენტიური ხარვეზები 2018 წლის 11 დეკემბრის წერილში ერთხელ უკვე დაფიქსირებულ იქნა, სააგენტო აღნიშნავს, რომ ხსენებულ წერილში საუბარია ზოგადად მარშრუტების ნაწილის კორექტირებაზე, თუმცა არ არის კონკრეტული მითითება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის № 475 დადგენილებით დამტკიცებული „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის რეგლამენტის“ 9.3.2 პუნქტის დარღვევის შესახებ, როგორც ეს აღნიშნულია 2018 წლის 25 დეკემბრის წერილში. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მიჩნეულ იქნება, რომ 2018 წლის 11 დეკემბრის წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიუთითა ბილიკების გადაფარვასთან/გადაკვეთასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე, მიმწოდებელს შეეძლო, ვალდებულებების შესრულებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მითითება გაეთვალისწინებინა ყველა სხვა ბილიკთან დაკავშირებითაც.

7.6. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 5 ივლისის № 724 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.9. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა განია და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო მომსახურების სრული მოცულობის 26%. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. ააიპ „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი“ (ს/ნ: 202064096) 2019 წლის 12 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

